

სახელმწიფო პოლიტიკის დაცვის პოლიტიკის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ფარგლები

სამართლებრივი პასუხისმგებლობა იურის-პრუდენციის ერთ-ერთი ფუნდამენტური კატეგორიაა. იგი რთული, მრავალფუნქციური ფენომენია, რომელიც დაკავშირებულია სამართლებრივ ნორმასთან, სამართალურთიერთობასთან, სამართალდარღვევასთან.

განსახილველი თემატიკის აქტუალობა იმითაც დასტურდება, რომ მოცემული პრობლემა იურიდიულ მეცნიერებაში სადავოა, რადგან ჯერ კიდევ ნათლად არაა განსაზღვრული სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის ფორმები, პირობები და ფარგლები. მეტად მნიშვნელოვანია ისიც, რომ თანამედროვეობის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემა სამართლის უნიფიკაცია-ჰარმონიზაციაა. ევროპაში აქტიურად მიმდინარე ინტეგრაციული პროცესების ფონზე საერთო ბაზრის სრულყოფილი ჩამოყალიბება წარმოუდგენელია კერძო სამართლის ადეკვატური განვითარების გარეშე, რადგან მისი ფუნქციაა ეკონომიკურ ურთიერთობათა მოწესრიგება. სხვადასხვა ტრადიციებისა და ფასეულობების მქონე სამართლებრივი სისტემების დაახლოების მიზნით, დღის წესრიგშია კერძო სამართლის ერთგაროვანი წესების მომზადება.

საქართველო არასოდეს ყოფილა თავის ნაციონალურ ღირებულებებში ჩაკეტილ-ჩამალული ქვეყანა. ის ყოველთვის დიდ დაინტერესებას იჩენდა პროგრესული კულტურების მიმართ და ამ გზით თავის კულტურას სრულყოფდა.¹ სამართალი კულტურის ფენომენია.² თანამედროვე სამართლებრივი მოწესრიგების ძირითადი დარგი კი სამოქალაქო სამართალია.³ საქართველოში სამოქალაქო კოდექსი (შემდგომ: სსკ) ევროპული ორიენტაციის მატარებელია, რომლის სრულყოფის პრო-

¹ზოიძე ბ. ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში. თბ., 2005, გვ. 5.

²ქოჩაშვილი ქ. ბრალი, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა (შედარებით სამართლებრივი კვლევა). სამართლის ჟურნალი. თბ., 2009, №1, გვ. 78-79.

³ჯორბენაძე ს. ჩემი ცხოვრების გზა, კრებული „ს. ჯორბენაძე-75“, თბ., 2003, გვ. 20.

ბიოგრაფიული
კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის
სკოლის მე-3 კურსის სტუდენტი

ცესი დღესაც ინტენსიურად გრძელდება.

ქართველი მეცნიერ-იურისტებიდან მოცემულ პრობლემაზე ფუნდამენტური მეცნიერული ნაშრომები აქვთ დედადამოსილ პროფესორებს: ს. ჯორბენაძეს, ზ. ახვლედიანს, ლ. ჭანტურიას, ბ. ზოიძეს, ჯ. ხეცურიანს, თ. ნინიძესა და ზ. ძლიერიშვილს. საყურადღებოა ახალგაზრდა იურისტ-მკვლევარების: ქ. ქოჩაშვილის, ნ. ჩიტაშვილის, თ. ზარანდიას, მაჩაღაძისა და სხვების პუბლიკაციები. უცხოელი მეცნიერებიდან აღსანიშნავია კ. ცვაიგერტის, ჰ. კოტცის, რ. ანდერჰარდის და სხვათა ნაშრომები.

1. სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის წარმოშობის გენეზისი

პირველყოფილ საზოგადოებაში, როცა არც სახელმწიფო და არც სამართალი არ არსებობდა, ადამიანთა შორის არსებულ ურთიერთობებსა და მისგან წარმოშობილ პასუხისმგებლობას საზოგადოებაში დადგენილი ქცევის წესები, ე.წ. ადამიანური განსაზღვრავდა, რომელთა შესრულება არა სპეციალური აპარატის მეშვეობით, არამედ დამკვიდრებული ტრადიციების მიხედვით ხდებოდა, ხოლო ჩვეულების დამრღვევის მიმართ გამოიყენებოდა საზოგადოებრივი ზემოქმედების მკაცრი ზომები მთელი გვარის ან ტომის წევრთა მიერ (გვარიდან თუ ტომიდან გაძევება, გაკიცხვა ან სხვა).⁴

გვარის წევრისათვის მიყენებული ზიანის შემთხვევაში დამნაშავესთან ურთიერთობა მეტწილად შურისძიებით, სისხლის აღებით ხდებოდა. მოგვიანებით დამკვიდრდა უფრო ლოგიკური წესი, ე.წ. „ტალიონის პრინციპი“ ანუ „არა იმაზე მეტი, რაც შენ გაგიკეთეს“ (ძველბოძლიური შეგონება – „თვალი თვალისა წილ, კბილი

⁴ინჟირველი გ. სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია. თსუ, თბ., 2003, გვ. 21.

⁵Черниловский З. М. Всеобщая история государства и права М., Юрист. 1996. გვ. 48.

კბილისა წილ...”), როდესაც საპასუხო მოქმედება თანაბარზომადი უნდა ყოფილიყო. მოგვიანებით შესაძლებელი გახდა დაზარალებულის სასარგებლოდ რაიმე ქონებრივი სასყიდლის გადაცემა ან საზღაურის გადახდა, ე.წ. „კომპოზიციის პრინციპი“.⁷

საზოგადოებაში წეს-ჩვეულებები, როგორც წესი, დაცული იყო სოციალური ხელისუფლების ავტორიტეტის ძალით, მაგრამ როდესაც ჩვეულება ითხოვდა განმტკიცებას პირდაპირი იძულების გზით, საზოგადოება გამოდიოდა იმ ძალის კოლექტიური მატარებლის როლში, რომელიც ავალდებულებდა, აძევებდა და საჭიროების შემთხვევაში სასიკვდილოდ სწირავდა წეს-ჩვეულების დამრღვევს.⁸

განვითარების შედეგად საზოგადოება მიმთვისებული ეკონომიკიდან მწარმოებელურ ეკონომიკაზე გადავიდა. გაჩნდა საკუთრება და ზედმეტი პროდუქტი, რამაც დაზარალებული, შურისმაძიებელი ადამიანის დასამშვიდებლად, სიცოცხლის ნაცვლად, ნატურალური ფორმით შეთავაზების პირობა შექმნა. თავდაპირველად თვით დაზარალებული ან მისი ნათესავები წვევტდნენ დამრღვევის მიმართ გამოსაყენებელ ზომებს, პირადს თუ ქონებრივს. ნაწილობრივ შენარჩუნებული იყო შურისძიება ტალიონის პრინციპით ძველი რომის XII ტაბულის კანონებში. ცალკეულ შემთხვევაში გამოსყიდვის საშუალებად საქონელი ან მონა გამოიყენებოდა. ხაშურაპის კანონებში გამოსყიდვის საშუალებად, ნატურალურ ანაზღაურებასთან ერთად, არსებობდა ვერცხლი⁹ და მასთან ერთად, – პროცენტი, ძველ ინდოეთში – იძულებით შრომა.

მაშასადამე, საყოველთაო ეკვივალენტის როლში ფულის გამოჩენისას გამოსყიდვის ნატურალური ფორმა თანდათან ფიქსირებული სავალდებულო ფულადი ფორმით შეიცვალა, ხოლო ვალის გადაუხდელობამ მოვალეს პირადი პასუხისმგებლობა დააკისრა. იმავდროულად, სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის ფორმირებამ პიროვნების განვითარებასა და სახელმწიფოს განმტკიცებაზე გავლენა მოახდინა.

განვითარებული პიროვნება ერთი კერძო პირის მიერ მეორესადმი თავისუფალი ქცევის

შეზღუდვას მოითხოვდა, რასაც სახელმწიფო (მაგ., ძვ. რომი) ჯერ შეზღუდვით, ხოლო შემდეგ აკრძალვით პასუხობდა. ამიტომ, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ზიანის მიყენებისას, ჯარიმის ალტერნატივად ქონებრივ დანაკარგებს აფასებდა.

ძველი რომის კერძო სამართალში „სამოქალაქო პასუხისმგებლობის“ ცნება არ იყო ჩამოყალიბებული, თუმცა მისი პირველი ნიშნები არსებობდა. სახელმწიფოს გავლენით დამნაშავე კერძო პასუხისმგებლობას იძულებით ქონებრივად ექვემდებარებოდა. არაქონებრივი ზიანის მიყენებისას ქონებრივ დანაკარგებს აფასებდნენ და მათ ანაზღაურებას მოითხოვდნენ.

პიროვნების განვითარების კვალობაზე სამართალში თანდათან დამკვიდრდა სუბიექტური პასუხისმგებლობის პრინციპი (დანაშაულისათვის პასუხისმგებლობა). ამიტომ ძველი რომის სამართალში პასუხისმგებლობა სუბიექტური ხასიათის მატარებელი იყო. თუმცა, იურიდიული აზრი მაინც გამოყოფდა ისეთ სიტუაციებს, როცა არა მარტო დასაშვები, არამედ ერთადერთ სწორ ქცევად უდანაშაულობის პასუხისმგებლობა მიიჩნეოდა. პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად პირს დაუძლეველი ძალის (vis major) არსებობა უნდა დაემტკიცებინა.

XII საუკუნიდან ევროპის უმრავლეს სახელმწიფოში რომის სამართალი გავრცელდა, რამაც განსაკუთრებული მნიშვნელობა გერმანიასა და საფრანგეთში შეიძინა. XIX საუკუნეში ბურჟუაზიული ურთიერთობები ჩამოყალიბდა და კოდიფიკაციისთვის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური წანამდევრები მომწიფდა. 1804 წელს საფრანგეთში მიიღეს ნაპოლეონის კოდექსი, ხოლო 1900 წელს ამოქმედდა გერმანული სამოქალაქო სჯულდება. მათი მიღებით ამ ქვეყნებში რომის სამართალმა ძალა ფორმალურად დაკარგა, თუმცა, „არსებობა ყველაზე ფასეულმა გააგრძელა“.¹⁰

XVII–XVIII საუკუნეებში ბუნებითი სამართლის სკოლის იურისტებმა მხარი დაუჭირეს პრინციპს – ყოველი პასუხისმგებელია იმ ზიანისათვის, რომელიც მან დანაშაულებრივი გზით სხვას მიაყენა.¹¹ ეს პრინციპი ობიექტურმა ფაქტორებმა განაპირობა. საზოგადოება განვითარდა და ხშირად, ადამიანთა სასიცოცხლო მნიშ-

⁶ ბიბლია, გამოსვლა, თ. 21.

⁷ ინწკირველი გ. დასახელებული ნაშრომი. გვ. 21.

⁸ ლოპუნიძე გ. სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია. თბ., 2010. გვ. 42..

⁹ Антология мировой правовой мысли. В 5 т. Т. 1. Античность Восточные цивилизации/Отв. ред. Сюкияйнен Л.Р. М., Инфра. 1999. გვ. 111.

¹⁰ Покровский Н.А. История римского права. М., Статут. 2002. გვ. 263.

¹¹ Цвайгерт К., Котц Х. Введение в сравнительное правоведение в сфере частного права В 2 т. Т.2. М., Бек. 1998. გვ. 362, 387-388.

ენელობის ინტერესები ერთმანეთს დაუპირისპირდა. ყოველი კონკრეტული შემთხვევის რეგულირება შეუძლებელი შეიქმნა. სამოქალაქო სამართალმა საერთო ნორმის შემოღება მოითხოვა. მაგ., ფრანგული სამოქალაქო კოდექსის (შემდგომ: ფსკ) მუხლი №1382 დელიქტური პასუხისმგებლობის ნაწილში შეიცავს საერთო ნორმას: „როგორც არ უნდა იყოს ადამიანის მოქმედება, თუ მან სხვას ზიანი მიაყენა, ვისი დანაშაულითადაც ზიანი წარმოიშვა, ავალდებულებს მას ანაზღაურებას“.¹²

პასუხისმგებლობის რომაული პრინციპი ევროპის სამართალწესრიგში მტკიცედ დამკვიდრდა და XIX საუკუნის ბოლომდე გერმანიასა და საფრანგეთში შენარჩუნდა. თუმცა, თანდათან დაიწყო ობიექტური პასუხისმგებლობის თაობაზე მსჯელობა.

პასუხისმგებლობის საკითხი კონტინენტურ სახელმწიფოებო სამართალში დანაშაულის პრინციპს დაეფუძნა. საერთო სამართალი კი იმ პრინციპს ითვალისწინებს, რომ ყოველ ხელმეორეულაში მოვალე გარკვეულ გარანტიებს იძლევა. თუ მოვალე არღვევს ხელმეორეულას, დანაშაულის მიუხედავად, იგი პასუხისმგებელია იმ ზარალისათვის, რომელიც ამ დარღვევამ გამოიწვია.

2. ვალდებულების შესრულება – სსკ-ის მთავარი ორიენტირი

სსკ შესრულებაზე ორიენტირებული აქტია. მთელი მისი ორგანიზმი, როგორც ზოგადი, ისე კერძო ნაწილი, შესრულების ხელშეწყობის მექანიზმზეა აგებული. პასუხისმგებლობა მისთვის ყველაზე უკიდურესი ღონისძიებაა და ვიდრე მისი გამოყენება მოხდებოდეს, მანამ დარღვეული ვალდებულების გაჯანსაღების შანსი ეძლევათ მხარეებს.¹³ მთავარია, შესრულება და არა პასუხისმგებლობა¹⁴, რადგან პასუხისმგებლობა ყოველთვის ვერაა კრედიტორის სასარგებლო გამოსავალი. ბევრი სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება ერთობ ძნელია.

ვალდებულების შესრულებაზე მეორე ორიენტაცია მოვალეს აძლევს ვალდებულების შესრულების ფართო შესაძლებლობას: ერთი მხრივ, როცა მისგან დამოუკიდებელი გარემოებების შედეგად საფრთხე შეექმნა შესრულებას (ობიექტური მხარე), და მეორე, როცა ეს მისგან მომდინარეობს (სუბიექტური მხარე). ამით სსკ მხარეთა ინტერესების მშვიდობიანი და გრძელვადიანი თანამშრომლობის შესაძლებლო-

ბას იძლევა, რადგან მიიჩნევა, რომ ხელშეკრულება არც ხელწამოსაკრავი სიკეთეა და არც ვინმეს დამონების საშუალება. ხელშეკრულება ჰგავს იმ მშვენიერ სასახლეს, სადაც შესვლა თავისუფალია, მაგრამ გამოსვლა ძნელია. ისევე როგორც საკუთრება, ხელშეკრულებაც გვაწვდის ვალდებულებას. სამოქალაქო კოდექსის ნორმები ისეა მოწყობილი, რომ იგი ერთმანეთზე „გაბუტულ მხარეებს“ ხელშეკრულების შეწყვეტისაკენ კი არ მოუწოდებს, არამედ მისი შენარჩუნება-შესრულებისაკენ უბიძგებს.¹⁵

პასუხისმგებლობა ყოველთვის ვერ იძლევა შესრულების ეფექტს. ამიტომ სსკ-ის ძალისხმევა შესრულებისკენაა მიმართული. ამის მაგალითია ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილება. ამ შემთხვევაში სსკ კრედიტორს უფლებას აძლევს დაუნიშნოს მოვალეს ვალდებულების შესრულებისათვის აუცილებელი დრო. „თუკი მოვალე ამ დროშიც არ შეასრულებს ვალდებულებას, მაშინ კრედიტორს უფლება აქვს ვალდებულების შესრულების ნაცვლად, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება“.¹⁶

ვალდებულების შესრულების დამატებითი ვადის ინსტიტუტი ევროკავშირის სამართალთან ჰარმონიაშია. საყურადღებოა ისიც, რომ სსკ დამატებითი ვადის ინსტიტუტს კვლავ ეხება და მიუთითებს: „თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე არ გამოიყენება დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება“.¹⁷ მნიშვნელოვანია ის, რომ ასეთი პატივით მოვალე მაშინ სარგებლობს, როცა იმედი არაა გადაწურული, რომ იგი შესრულებას განახორციელებს. ამიტომ მიიჩნევა კოდექსი, რომ „არ არის აუცილებელი დამატებითი ვადის დაწესება ან გაფრთხილება, თუ მას არავითარი შედეგი არ ექნება“.¹⁸ ასე რომ, შესრულებით „დაჟინება“ მაშინაა გამართლებული, როცა შეიძლება ველოდოთ დამატებითი ვადის შედეგუნარიანობას. ამ ნაწილშიც სსკ ევროპული სამართლის პირდაპირი ასლია.

შესრულებაზე თავგამოდება პასუხობს მოვალის ინტერესებსაც, ვინაიდან შესრულების შედეგები მისთვის უფრო ნაკლებად მძიმე უნდა იყოს, ვიდრე ამას ადგილი ექნება პასუხისმგებლობისას. დამატებითი ვადა მოვალეს ამაზე დაფიქრების შესაძლებლობას აძლევს. ასუხისმგებლობის შესრულებით შეცვლა მოვალის სასარგებლოდაც მეტყველებს. გარდა

¹²Покровский И.А. *დასახელებული ნაშრომი*. გვ. 280.

¹³ზოიძე ბ. *დასახელებული ნაშრომი*. გვ. 285.

¹⁴ზარანდია თ. *სახელმწიფოებო ვალდებულების შესრულების ადგილი და ვადები*. თბ., 2002. გვ. 3.

¹⁵ზოიძე ბ. *დასახელებული ნაშრომი*. გვ. 286-287.

¹⁶სსკ, 394-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

¹⁷სსკ, 405-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

¹⁸სსკ, 405-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

იმისა, რომ მას შეიძლება დაეკისროს პროცესის ხარჯები, ვალდებულების შეუსრულებლობა, თუკი მოვალე მეწარმეა, უარყოფითად აისახება მის მიმართ ნდობაზე.¹⁹

შესრულებაზე ორიენტაციის კიდევ ერთი ნათელი მაგალითია სსკ-ის 398-ე მუხლი. ამით ხელშეკრულება წარმოჩნდება, როგორც ცოცხალი ორგანიზმი, რომელიც გარემოებათა შესაბამისად შეიძლება საჭიროებდეს სახეცვლილებას. კანონმდებელმა მხარეებს მისცა შანსი ერთხელ გამოხატულ ნებაში კორექტივები შეიტანოს, რასაც სსკ ასე გამოხატავს „... ხელშეკრულების მხარეს არ შეიძლება მოეთხოვოს შეუცვლელი ხელშეკრულების მკაცრად დაცვა“.²⁰ მნიშვნელოვანია ისიც, რომ სსკ მხარეებს ურჩევს „... ჯერ უნდა შეეცადონ, რომ ხელშეკრულება მიუსადაგონ შეცვლილ გარემოებებს“.²¹

3. ვალდებულებისა და ხელშეკრულების ურთიერთმიმართების შესახებ

ვალდებულებასა და ხელშეკრულებას შორის უშუალო კავშირი არსებობს. ვალდებულების წარმოშობის ძირითადი ფორმაა ხელშეკრულება, რომელიც გარიგებას ეფუძნება. ამიტომ სსკ ხელშეკრულების მიმართ ვალდებულებათა შესახებ „ზოგადი დებულებების“ (316–318-ე მუხლები) შემდეგ გადმოცემს სახელშეკრულებო სამართალს და მის შემდეგ ვალდებულებათა დახასიათებას.

სსკ-ის 316-ე მუხლის 1-ლი ნაწილით ვალდებულება მოთხოვნის უფლების ხარისხშია წარმოდგენილი: „ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. შესრულება შეიძლება გამოიხატოს მოქმედებისაგან თავის შეკავებაშიც“.²²

ამ საკითხში სსკ-ის მიდგომა ზოგადი და პროგრესულია, რადგან ნებისმიერ ვალდებულებაზეა მორგებული. ვალდებულების სახელშეკრულებო განმარტება კი ამ მიზნით არ გამოდგება.²³ იგი უფრო შეზღუდულია.

ვალდებულებისადმი ასეთი მიდგომით შესაძლებელი გახდა გარკვეული ნოვაცია. სსკ-ის 317-ე მუხლის თანახმად, „...ვალდებულება შეიძლება ხელშეკრულების მომზადების საფუძველზეც წარმოიშვას“.²⁴ კერძოდ, ხელშეკრულების დადებად მხარეებს შეიძლება მოუხდეთ გარკვეული ხარჯების გაწევა. სსკ ანგარიშს

უწევს ამ სინამდვილეს და რომელი მხარის ბრალითაც არ მოხდება ხელშეკრულების გაფორმება, იმას აკისრებს ამ ხარჯების ანაზღაურებას.

ამ საკითხში სსკ ჰარმონიაშია საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებების პრინციპებთან,²⁵ რომელშიც განსაზღვრულია, რომ მხარე თავისუფალია ჩაატაროს მოლაპარაკება, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, პასუხისმგებლობა არ ეკისრება (მუხლი 2.1.15, §1), თუმცა კეთილსინდისიერად ქცევა ევალება. „მხარე, რომელიც არაკეთილსინდისიერად წარმართავს ან წვევს მოლაპარაკებას, პასუხისმგებელია იმ ზარალზე, რომელიც მეორე მხარეს მიაყენა“ (მუხლი 2.1.15, §2). არაკეთილსინდისიერად ითვლება მხარის მიერ მოლაპარაკებაში ჩართვა ან მისი გაგრძელება, თუ მას მეორე მხარესთან შეთანხმების მიღწევის განზრახვა არ გააჩნია“ (მუხლი 2.1.15, §3).

4. ვალდებულების დარღვევის ცნება და სახეები

სსკ-ში მნიშვნელოვანი ვაკუუმი ვალდებულების დარღვევის ცალკეული სახის რეგლამენტაციის თვალსაზრისით. ქართულ სამართლებრივ სივრცეში არ არსებობს ვალდებულების დარღვევის ერთიანი ცნება. სსკ არ ითვალისწინებს დარღვევის ცალკეული კატეგორიის დამოუკიდებელი მუხლით რეგულირებას. მხოლოდ მოვალის მიერ ვადის გადაცილება წარმოადგენს ცალკე რეგლამენტაციის საგანს, ხოლო მისთვის კუთვნილ თავში შესრულების შეუძლებლობას მხოლოდ 401-ე მუხლი აქვს დათმობილი, ისიც ვადის გადაცილებასთან კავშირში, იმ შემთხვევის გამოსახატავად, თუ როდის არ ჩაითვლება ვადა გადაცილებულად.

რეალურად, შესრულების შეუძლებლობა შეიძლება როგორც მოვალის, ისე კრედიტორის ბრალეული ქმედებით მოხდეს. 401-ე მუხლით სსკ ვალდებულების ყველა სახის შეუსრულებლობას შესრულების არაბრალეულ შეუძლებლობასთან აიგივებს, რაც არამართებულად მიგვაჩნია. მაგ., კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებისას, ვალდებულება მოვალის ბრალისგან დამოუკიდებლად ვერ სრულდება, თუმცა ამით უპირობოდ არ ფუძნდება შესრულების შეუძლებლობა. ამით, სსკ-ში მხოლოდ მოვალის ბრალისგან დამოუკიდებელი შესრულების შეუძლებლობის კონცეფციაა გადმოცემული, ისიც არასრულყოფილად, რადგან რეგულირების მიღმა რჩება მეორადი მოთხოვნის უფლებებზე ხელმისაწვდომობის, მხარეთა პასუხისმგებლო-

¹⁹ზოიძე ბ. დასახელებული ნაშრომი. გვ. 288.

²⁰სსკ, 398-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

²¹სსკ, 398-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

²²სსკ, 316-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

²³იქვე, გვ. 263.

²⁴იქვე, 317-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

²⁵UNIDROIT PRINCIPLES, on International Commercial Contracts, 2010, გვ. 59.

ბის, შემხვედრი ვალდებულებისაგან განთავისუფლების, კრედიტორისა თუ მოვალის ქმედებით გამოწვეული, ობიექტური თუ სუბიექტური შეუძლებლობის საკითხები, რაც არსებით სირთულეებს წარმოშობს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ დონეზე.

გერმანიაში 2002 წლიდან დამკვიდრდა ვალდებულების დარღვევის ერთიანი ცნება და უარი ითქვა ბრალზე, როგორც ხელშეკრულებიდან გასვლის უცვლელად წინაპირობაზე. თუმცა, უცვლელად შენარჩუნდა ბრალეულობა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველად. გერმანული სამართალი ერთსა და იმავე დროს იცავს ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებასთან მიმართებაში და, ამასთანავე, აღიარებს ნატურით შესრულების მოთხოვნის პრიმატს. ამით გერმანული სამართალი ანგლო-ამერიკული სისტემისაგან განასხვავდება. ვალდებულების დარღვევა გერმანულ სამართალში განიმარტება, როგორც ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულების განუხორციელებლობა მთლიანად ან ნაწილობრივ.²⁶ ვალდებულების დარღვევის არსებობა დგინდება ობიექტური კრიტერიუმის საფუძველზე – დარღვევა სახეზეა იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა, როგორც ობიექტური ფაქტი, დადასტურდება.

5. ბრალი, როგორც სამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა

რომაული სამართლის თანახმად, „ვალდებულება სამართლის ბორკილია, რომლის ძალით ჩვენ გვევალება, ჩვენი სახელმწიფოს კანონების შესაბამისად ვინმეს რაიმე შევუსრულოთ.“²⁷ ამ განმარტებით ვალდებულება სამართლებრივი კავშირია, რომელიც ბოჭავს სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტებს. რომაული სამართლის მსგავსად, თანამედროვე სამოქალაქო კანონმდებლობა ვალდებულებას განსაზღვრავს როგორც პირთაშორის ურთიერთობის სამართლებრივ ფორმას, რომელიც ადგენს მოვალისათვის სპეციალურ ქცევის წესს კრედიტორის ინტერესების მიხედვით, კერძოდ, შეასრულოს მოქმედება ან თავი შეიკაოს მისგან.²⁸

სსკ-ით ვალდებულება, როგორც სამართ-

ლებრივი ურთიერთობა, სხვადასხვა საფუძველიდან წარმოიშობა, კერძოდ, ცალმხრივი გარიგებიდან, ხელშეკრულების მომზადებიდან, ხელშეკრულებიდან, დელიქტიდან, უსაფუძვლო გამდიდრებიდან და კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველიდან.²⁹ თანამედროვე მსოფლიოს ყველა სამართლებრივ სისტემაში, ვალდებულების წარმოშობის საფუძვლის მიუხედავად, ვალდებულების შესრულება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტია.³⁰ „ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას“.³¹

ვალდებულების შეუსრულებლობა ვალდებულების დარღვევაა და მას სამოქალაქო სამართლებრივი ხასიათი აქვს.³² სამოქალაქო სამართალდარღვევა მოვალის ისეთი ქმედებაა, რომელიც არ შეესაბამება ვალდებულებათა წესს,³³ ვალდებულებით ურთიერთობას და იწვევს პირის კეთილდღეობის შემცირებას ან განადგურებას, ქონებრივი ან არაქონებრივი ხასიათის უარყოფითი შედეგების დადგომას.³⁴

ვალდებულების დარღვევა იწვევს სამოქალაქო სამართლებრივ პასუხისმგებლობას, რაც სახელმწიფოებრივი იძულების ფორმად, გამოხატული სასამართლოს მიერ დამრღვევის მიმართ ქონებრივი სანქციის დაწესებით და მიმართულია დაზარალებულის დარღვეული უფლებების აღდგენისაკენ.³⁵

როგორც ვხედავთ, ბრალი ვალდებულების დარღვევის შემადგენლობის უმნიშვნელოვანესი სუბიექტური ელემენტია, თუმცა არა აუცილებელი, რადგან ვალდებულების შეუსრულებლობა ბრალის გარეშეც ხელშეკრულების დარღვევის დასრულებულ შემადგენლობას ქმნის, გარდა ვადის გადაცილებისა, რომლის სამართლებრივ კონსტრუქციაში ბრალი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.³⁶

რომის კლასიკური ეპოქიდან დღემდე სამოქალაქო სამართალში მოქმედებს უნივერსალური ფორმულა: თითოეული პასუხის აგებს მხოლოდ მისი ბრალით მიყენებული ზიანი-

²⁹ ქოჩაშვილი ქ., დასახელებული ნაშრომი. გვ. 79-80.

³⁰ ძლიერიშვილი ზ. ვალდებულების შესრულება. თბ., 2006, გვ. 12.

³¹ სსკ 361-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

³² ქოჩაშვილი ქ., დასახელებული ნაშრომი. გვ. 80.

³³ მაჩალაძე ს., ზიანის ანაზღაურება ვალდებულების დარღვევისას (საქართველოსა და გერმანიის კანონმდებლობათა ანალიზი), ქართული სამართლის მიმოხილვა. თბ., 2004, გვ. 74.

³⁴ ხეცურიანი ჯ., სამოქალაქო სამართლის ფუნქციები. თბ., 1995, გვ. 108.

³⁵ ქოჩაშვილი ქ., დასახელებული ნაშრომი. გვ. 80.

³⁶ ჩიტაშვილი ნ., დასახელებული ნაშრომი. გვ. 146-147.

²⁶ Sir Basil Markesinis, Hannes Unberath, Angus Johnston, The German Law of Contract, Second Edition, Oxford and Portland, Oregon, 2006, გვ. 387, 438.

²⁷ რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. წიგნი III, ტ. XIII//ქოჩაშვილი ქ., დასახელებული ნაშრომი. გვ. 79.

²⁸ სსკ 316-ე მუხლი.

სათვის. სსკ ერთგული დარჩა პასუხისმგებლობის კლასიკური, ევროპულ სამართალში მოცემული ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპისა³⁷: მოვალეს პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ განზრახ ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიყენებული ზიანისთვის, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული და ვალდებულების არსიდანაც სხვა რამ არ გამომდინარეობს.³⁸

ბრალის სამართლებრივი კატეგორია ძალზე მნიშვნელოვანია როგორც კონტინენტური, ისე ანგლო-ამერიკული სამართლის სისტემაში, თუმცა, თითოეული მათგანი მის მიმართ განსხვავებულ მიდგომას ავლენს, კერძოდ:

- ანგლო-ამერიკულ სამართლებრივ სივრცეში ვალდებულების არაბრალეული შეუსრულებლობა არ აფუძნებს ვალდებულების დარღვევის დასრულებულ შემადგენლობას. იგი მხოლოდ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას აღმოაჩენებს, ხოლო ზიანის ანაზღაურების მეორადი მოთხოვნის უფლება ბრალზე დამოკიდებული ხდება. ამით ანგლო-ამერიკული სამართალი გამოირიცხავს არაბრალეული შეუსრულებლობისათვის ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას;

- კონტინენტურ სამართალში ვალდებულების შეუსრულებლობა, მოვალის ბრალეულობის მიუხედავად, განაპირობებს მეორადი მოთხოვნის უფლებებისადმი კრედიტორის ხელმისაწვდომობას, ხოლო ბრალი გამოიყენება მეორადი მოთხოვნის უფლების განსაზღვრისათვის მას შემდეგ, რაც სახეზეა ვალდებულების დარღვევის დასრულებული შემადგენლობა. კრედიტორის ბრალი გავლენას ახდენს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების წარმოშობაზე, ანაზღაურების დაქვემდებარებული ზიანის ოდენობის განსაზღვრაზე და სანაცვლო შესრულების მოთხოვნის უფლების არსებობაზე აისახება.³⁹

ბრალის კონცეფციისადმი კონტინენტური და ანგლო-ამერიკული სამართლის სისტემები ძირეულად განსხვავებულია, რადგან თითოეული მათგანი სახელშეკრულებო ვალდებულების სხვადასხვა სტრუქტურას ითვალისწინებს: კონტინენტური სამართლის სისტემა ხელშეკრულებას ორმხრივ პირობად განიხილავს, ხოლო საერთო სამართლის ქვეყნებში კონტრაქტი სახელშეკრულებო ვალდებულების შეს-

რულების გარანტიად ითვლება.⁴⁰ თუმცა, ორივე მათგანი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის სახელშეკრულებო პასუხისმგებლობას ბრალზე დამოკიდებულად აცხადებს.

6. მოვალის მიერ ვადის გადაცილება

სსკ-ის 401-ე მუხლით ვადა გადაცილებულად არ ჩაითვლება თუკი ვალდებულება არ შესრულდა ისეთ გარემოებათა გამო, რაც მოვალის ბრალით არ არის გამოწვეული. ამ მუხლიდან იკვეთება თეზა, რომ ვადის გადაცილება მხოლოდ ბრალეულ ქმედებას გულისხმობს. თუ მოვალე არ არის პასუხისმგებელი ვალდებულების შესრულების დაყოვნებისათვის, მაშინ შესაძლოა სახეზე იყოს კრედიტორის მხრიდან ვადის გადაცილება ან დაუძლეველი ძალა, რაც ვადამოსული ვალდებულების შესრულებას შეუძლებელს ხდის.⁴¹

როგორც წესი, ბრალი ვალდებულების დარღვევის დაფუძნების წინაპირობად არ განიხილება, თუმცა მოვალის მიერ ვადის გადაცილებით ბრალი იურიდიულ მნიშვნელობას იძენს ანუ იგი ყოველთვის ბრალეულ ქმედებას გულისხმობს. თუ მოვალე არ არის პასუხისმგებელი ვალდებულების შესრულების დაყოვნებისათვის, მაშინ შესაძლოა სახეზე იყოს კრედიტორის მხრიდან ვადის გადაცილება ან შესრულების შეუძლებლობა, რაც ობიექტურად გამოირიცხავს შესრულების ვალდებულებას. ვადის გადაცილება შეიძლება გავრცელდეს იმ ვალდებულებებზე, რომლებიც ვადამოსულობის მომენტში განხორციელებადია. ამიტომ ვადის გადაცილება ვალდებულების შესრულების შესაძლებლობის წინაპირობად მოიაზრება.

მოვალის მიერ ვადის გადაცილების ბრალეულ დარღვევად სახელდება გარკვეული საფუძველი აქვს: სსკ-ის 401-ე მუხლიდან ირკვევა, რომ ვადის გადაცილების არსებობაზე მხოლოდ მაშინ შეიძლება მსჯელობა, თუკი შესრულება მოვალის შესაძლებლობების სფეროშია. ვინაიდან შესრულების ვალდებულება დროულად არ სრულდება, სახეზეა მოვალის ბრალი ვადამოსული და განხორციელებად ვალდებულებაზე. ვადის გადაცილების დასრულებული შემადგენლობა მხოლოდ გაფრთხილების უშუალოდ განცხადების შემდგომ ფუძნდება. ამით მოვალე დამატებით გაცნობიერდება საკუთარ უფლება-მოვალეობებში, რათა გამოირიცხოს ვალდებულების გაუფრთხილებლობით დარღვევის შესაძლებლობა. გაფრთხილება გარკვეულ პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს: უნდა იყოს ერთმნიშვნელოვანი, გასაგები და

³⁷ზოიძე ბ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სისტემა. ჟურ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 1998, I კვარტალი, გვ. 28.

³⁸სსკ 395-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

³⁹ჩიტაშვილი ნ. დასახელებული ნაშრომი. გვ. 143-144.

⁴⁰იქვე, გვ. 157.

⁴¹ჩიტაშვილი ნ. დასახელებული ნაშრომი. გვ. 166-167.

განსაზღვრული.⁴² გაფრთხილება არ არის დამატებითი ვადის იდენტიფიკაცია. გაფრთხილებაში არაა აუცილებელი შესრულების ვადის განსაზღვრა, არც შესრულების კონკრეტულ შედეგზე მითითება, მთავარია, ცხადად იკვეთებოდეს კრედიტორის სურვილი მოვალემ შესრულოს ნაკისრი ვალდებულება.⁴³ მოვალე ვადის გადამცემად ჩაითვლება მას შემდეგ, რაც, გაფრთხილების მიუხედავად, ვალდებულება კვლავ არ სრულდება.

გაფრთხილების შემდეგ ვალდებულების შეუსრულებლობა შესაძლებელია მხოლოდ მოვალის ბრალეული ქმედებით განხორციელდეს იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების პატივსაღები საფუძვლები. სწორედ ამიტომ ვადის გადაცილება ყოველთვის ბრალეულ დარღვევად განიხილება.

სამოქალაქო სამართლებრივ პასუხისმგებლობას აფუძნებს განზრახი ან გაუფრთხილებელი ბრალი ვალდებულების დარღვევაში (სსკ-ის 395-ე მუხლი), მაგრამ ვადის გადაცილების კონტექსტში მოვალის პასუხისმგებლობის ფარგლები უფრო გაფართოებულია.⁴⁴ სსკ-ის 402-ე მუხლით მოვალე ვადის გადაცილებისას პასუხს აგებს ყოველგვარი გაუფრთხილებლობისა და შემთხვევითობისთვის თუ არ დაამტკიცებს, რომ ზიანი შეიძლებოდა დამდგარიყო ვალდებულების დროული შესრულების პირობებშიც. „მაშინ, როცა მარტივი გაუფრთხილებლობა ყოველთვის არ იწვევს მოვალის პასუხისმგებლობას ვალდებულების შეუსრულებლობისათვის, ვადის გადაცილების შემთხვევაში მას ყოველთვის პასუხისმგებლობა მოჰყვება ხოლმე.“ „მარტივი გაუფრთხილებლობისათვის პასუხისმგებლობა გამოირიცხება, თუ მხარეთა შეთანხმებით ან ხელშეკრულების სტანდარტული პირობებითაა იგი გათვალისწინებული.“ ამასთან, „აუცილებელია, რომ შემთხვევითი გარემოების არსებობას ადგილი ჰქონდეს ვადის გადაცილების პროცესში.“ ვადის გადაცილების დროს მოვალე პასუხისმგებელია ყოველგვარი შეუსრულებლობისათვის („შედეგისათვის პასუხისმგებლობა“⁴⁵). თუმცა, „გარანტიის დროს, მოვალე ვადის გადამცილებლად ითვლება ბრალის გარეშე.“⁴⁶ სსკ-ის 402-ე მუხ-

ლში საუბარია ბრალის გარეშე პასუხისმგებლობაზე. რეალურად პასუხისმგებლობის დაკისრება ხორციელდება არა შემთხვევითობისთვის, არამედ მოვალის იმ ბრალისთვის, რომელიც არსებობდა ვადის გადაცილების ეტაპზე, ვინაიდან შესრულების შეუძლებლობის გამომწვევი გარემოება შესრულების დაყოვნებამდე (შესაბამისად მოვალის ბრალის გარეშე) არ წარმოიშობოდა. იმის გათვალისწინებით, რომ ვადის გადაცილების დროს ვალდებულების შესრულება მოვალის შესაძლებლობის სფეროს განეკუთვნებოდა და მან ბრალეული ქმედებით ვადამოსული ვალდებულება არ განახორციელა, მაშინ ნათელი ხდება შემთხვევითობისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების სამართლებრივი დასაბუთება. მოვალის ბრალი ვადის გადაცილებაში, შესრულების შეუძლებლობის წარმოშობის რისკი ვალდებულების დამრღვევ მხარეზე გადააქვს. არაკეთილსინდისიერი მხარე პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების უპირატესობით ვერ ისარგებლებს და შეუსრულებლობის ტვირთი მას დაეკისრება.

თუ ვადამოსული ვალდებულება არ შესრულდა პატივსაღები საფუძვლით, ამით მოვალის მიერ ვადის გადაცილება არ ფუძნდება. ამ დროს სახეზე გვაქვს არაბრალეული შესრულების შეუძლებლობა. სსკ-ის 401-ე მუხლით: ვადაგადაცილებულად არ ჩაითვლება ისეთ გარემოებათა გამო, რომელიც მოვალის ბრალით არ არის გამოწვეული.⁴⁷ როგორც წესი, შესრულების ხანგრძლივი შეუძლებლობა გამორიცხავს ვადის გადაცილების არსებობას. თუ სახელშეკრულებო ურთიერთობაში მოვალის ბრალით წარმოიშვა ვალდებულების შესრულების ხელშეშლელი დროებითი ხასიათის დაბრკოლებები, მაშინ ფუძნდება ვალდებულების დარღვევა ვადის გადაცილების სახით.⁴⁸ შესრულების შეუძლებლობის დაფუძნებამდე მხარე მოკლებულია უფლებას ამტკიცოს მისი არაბრალეულობა ვადის გადაცილებაში. მაგრამ, თუ შესრულების არაბრალეული შეუძლებლობა ვადის გადაცილების შემდგომ დადგა, მაშინ მოვალე არ თავისუფლდება იმ ზიანის პასუხისმგებლობისაგან, რომელიც არ წარმოიშობოდა ვალდებულების დროულად შესრულების შემთხვევაში.

სსკ-ის თანახმად, ვადის გადაცილების შემთ-

⁴² მაჩალაძე ს., დასახელებული ნაშრომი. გვ. 77.

⁴³ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი მე-3. „სამართალი“. თბ., 2001. გვ. 420.

⁴⁴ ნიტაშვილი ნ., დასახელებული ნაშრომი. გვ. 169.

⁴⁵ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი მე-3. „სამართალი“. თბ., 2001. გვ. 424.

⁴⁶ მაჩალაძე ს., დასახელებული ნაშრომი. გვ. 76.

⁴⁷ ფსკ-ის კოდექსის 1138-ე მუხლის თანახმად, მყიდველს საკუთრების უფლება ნივთზე წარმოე-შობა ხელშეკრულების დადების მომენტიდან, მაგრამ მოვალის მიერ ვადის გადაცილებისას კრედიტორს არ დაეკისრება ნივთის შემთხვევითი დაღუპვისა და განადგურების რისკი.

⁴⁸ მაჩალაძე ს., დასახელებული ნაშრომი. გვ. 77.

ხვევაში, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ეფუძნება 404-ე მუხლს, რომელიც სპეციალურია სსკ-ის 394-ე მუხლთან მიმართებაში და უპირატესად გამოიყენება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძვლად უშუალოდ ვადის გადაცილების პირობებში.

მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილება ვალდებულების არაჯეროვნად შესრულებას გულისხმობს. იგი სამართლებრივად ვადის გადაცილებაა, თუ ვალდებულების შეუსრულებლობისას კრედიტორი აღარ არის დაინტერესებული შესრულების მიღებით, ვადის გადაცილება გულისხმობს ვალდებულების სრულ შეუსრულებლობას.⁴⁹ მოვალე ითვლება ვადის გადამცილებლად, თუ ის არ ასრულებს ვალდებულებას, რომლის შესრულების ვადაც დამდგარია კრედიტორის მიერ შესხენების შემდეგაც. შესხენებას უთანაბრდება შესრულების თაობაზე სასამართლოში სარჩელის შეტანა.⁵⁰ მოვალე ვალდებულების შესრულების ვადის გადამცილებლად ითვლება, თუ ბრალეულად არ შეასრულებს ვალდებულებას სათანადო დროს.⁵¹ ზოგჯერ მოვალის მიერ ვადის გადაცილებისას პასუხისმგებლობის ზომა დამოკიდებულია ბრალის ფორმაზე. მაგ., ფსკ-ით მოვალის მიერ გაუფრთხილებლობით ფულადი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისას კრედიტორს უფლება აქვს მხოლოდ პროცენტზე, ხოლო განზრახი ბრალის არსებობისას მას შეუძლია, მოვალეს მოსთხოვოს როგორც პროცენტის გადახდა, ისე მიყენებული ზიანის ანაზღაურება.⁵²

7. კრედიტორის მიერ ვადის გადაცილება

ვადის გადამცილებელი შესაძლოა იყოს კრედიტორიც. კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებლად ითვლება, თუ იგი არ იღებს მისთვის შემოთავაზებულ შესრულებას, რომლის ვადაც დამდგარია. ასევე, როცა ვალდებულების შესასრულებლად საჭიროა კრედიტორის ესა თუ ის მოქმედება და იგი არ ასრულებს მას (სსკ-ის 390-ე მუხლი). კრედიტორის მიერ ვადის გადაცილება შესაძლოა მოხდეს მისი ბრალით ან ბრალის გარეშე. მართალია, შესრულების მიღება კრედიტორის უფლებაა, მაგრამ ის კავშირშია მოვალის ვალდებულებასთან.

შესრულების მიღების ვადის გადაცილება

იმ ფაქტის შედეგია, რომელშიც ბრალეულს იხეივით მნიშვნელობა აქვს მოვალისათვის, როგორც მოვალის ბრალს აქვს კრედიტორისათვის შესრულების ვადის გადაცილებისას.⁵³ ბრალეული გადაცილებისას კრედიტორი ვალდებულია აუნაზღაუროს მოვალეს ამით მიყენებული ზიანი (სსკ-ის 391-ე მუხლი). ასევე, მას ეკისრება ნივთის შემთხვევით გაფუჭების ან დაღუპვის რისკი და აღარ აქვს ფულადი ვალდებულებისათვის პროცენტის მოთხოვნის უფლება (სსკ-ის 393-ე მუხლი).

მაშასადამე, კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებით გამოწვეული ვალდებულების შესრულების სახელშეკრულებო რისკი გადაინაცვლებს კრედიტორზე იმ მომენტიდან, როდესაც შესრულების მიღებაზე უარის თქმით რეალურად ფუძნდება ვადის გადაცილება. კრედიტორის მიერ შესრულების მიღების არაბრალეული დაყოვნებაც არ ათავისუფლებს მას ნივთის შემთხვევითი დაღუპვის რისკისაგან. ამ დროს ვადის გადაცილების უარყოფითი შედეგები არაბრალეული კრედიტორის მიმართ დგება, რითაც კანონი ასევე არაბრალეული მოვალის ინტერესებს იცავს.⁵⁴

გერმანულ სამართალში კრედიტორის მიერ ვადის გადაცილება ვალდებულების დარღვევის დამოუკიდებელ კატეგორიად არ განიხილება. თუმცა, ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები (შემდგომ: ესსპ) ამ პრობლემას განსხვავებულად ითვალისწინებს.⁵⁵ ესსპ-ის 1:202 მუხლის ძალით ხელშეკრულების თითოეულ მხარეს ეკისრება თანაქმედების ვალდებულების განხორციელება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, ხოლო 1:130 IV მუხლის ძალით თანაქმედების ვალდებულების შეუსრულებლობა ხელშეკრულების დარღვევის დამოუკიდებელი სახეა და ვალდებულების დარღვევისათვის გათვალისწინებული მეორადი მოთხოვნის უფლებების გამოყენების წინაპირობას ქმნის.⁵⁶

„კრედიტორის მიერ ვადის გადაცილება მოვალეს შესრულებისაგან კი არ ათავისუფლებს, არამედ შეუსრულებლობის შემთხვევაში პასუხისმგებლობისაგან იხსნის მას.“⁵⁷ აღსანიშნავია, რომ კრედიტორის მიერ ვადის გა-

⁵³საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი მე-3. „სამართალი“. თბ., 2001. გვ. 354.

⁵⁴იქვე, გვ. 631.

⁵⁵ჩიტაშვილი ნ., დასახელებული ნაშრომი. გვ. 170.

⁵⁶Ole Lando and Hugh Beale, Principles of European Contract Law, part I and II, Kluwer Law International, The Hague/London/Boston, 2000, გვ.120-121.

⁵⁷საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი მე-3. „სამართალი“. თბ., 2001. გვ. 355.

⁴⁹ქიქაშვილი ქ., დასახელებული ნაშრომი. გვ. 92.

⁵⁰ქიქაშვილი ზ. ვალდებულების შესრულება. თბ., 2006, გვ. 64.

⁵¹ზარანდია თ., სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და ვადები. თბ., 2005. გვ. 103.

⁵²ქიქაშვილი ზ., დასახელებული ნაშრომი. გვ. 126.

დაცილება გაუფრთხილებლობით ვაღდეულებ-
ის დარღვევისას იწვევს მოვალის პასუხისმგე-
ბლობისაგან განთავისუფლებას.

8. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე წინასწარი შეთანხმება

კეთილსინდისიერების თვალსაზრისით სსკ-
ში საკამათოა სსკ-ს 410-ე მუხლის დანაწესი:
„ვაღდეულების დარღვევის გამო ზიანის
ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე წინასწარ
უარის თქმა დაიშვება, თუ ეს გათვალისწინებ-
ულია კანონით ან მხარეთა შეთანხმებით.“ ეს
ცვლილება 2009 წელს მიიღეს. ამ მუხლის ძვე-
ლი რედაქცია ასეთი იყო: „დაუშვებელია
ვაღდეულების დარღვევის გამო ზიანის
ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე უარის
თქმა წინასწარი შეთანხმებით.“ შევადაროთ ეს
მუხლი სსკ-ს 395-ე მუხლს, რომელიც ამბობს:
„1. მოვალეს პასუხისმგებლობა დაეკისრება
მხოლოდ განზრახი ან გაუფრთხილებელი მო-
ქმედებით მიყენებული ზიანისათვის, თუ სხვა
რამ არ არის გათვალისწინებული და ვაღდე-
ულების არსიდანაც სხვა რამ არ გამომდინარ-
ეობს. 2. დაუშვებელია მხარეთა წინასწარი შეთ-
ანხმება მოვალის მიერ განზრახი მოქმედებით
ვაღდეულების დარღვევისას ზიანის ანაზღაუ-
რებისაგან მისი განთავისუფლების შესახებ.“

ჩვენი აზრით, სსკ-ის 395-ე მუხლის და 410-
ე მუხლის შეცვლილი რედაქცია ურთიერთწი-
ნააღმდეგობრივია და ზიანის ანაზღაურებაზე
მხარის მიერ უარის თქმის ორმაგი სამართ-
ლებრივი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლე-
ვა.

თუ აქამდე ცივილისტები მიიჩნევდნენ, რომ
395-ე მუხლის დანაწესი სპეციალურ ნორმად
უნდა განხილულიყო, 410-ე მუხლის ახალმა
რედაქციამ ეს წესი ზოგად ფორმულირებაში
შემოგვთავაზა და უფრო მეტიც: დაუშვა ზიანის
ანაზღაურებაზე უარის თქმა ნებისმიერი პირო-
ბით, რითაც წინააღმდეგობაში მოვიდა 395-ე
მუხლის დანაწესთან.

ამრიგად, დღეს სახეზე გვაქვს ისეთი ვი-
თარება, როცა სამეწარმეო ურთიერთობაში
უპირატესი ფინანსური და სხვა შესაძლებლო-
ბის მქონე მხარეს უკვე საკანონმდებლო დონ-
ეზე ძალუძს მეორე მხარეს თავს მოახვიოს
საზიანო დათქმები და ისეთი სიტუაცია წარ-
მოშვას, როცა მხარეს აღარ ძალუძს მოითხო-
ვოს ზიანის ანაზღაურება არც ერთ შემთხ-
ვევაში.

მიგვაჩნია, რომ 410-ე მუხლით ხელშეკ-
რულების მხარეთათვის ნების ავტონომიურო-
ბის ამგვარი გაფართოება სამოქალაქო და
ეკონომიკურ ბრუნვაში კეთილსინდისიერების

პრინციპის საწინააღმდეგოა. მართალია, სსკ-ს
54-ე მუხლი ადგენს, რომ „ბათილია გარიგება,
რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა
და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წეს-
რიგს ან ზნეობის ნორმებს“, მაგრამ აპელირება
იმაზე რომ სახელშეკრულებო ურთიერთობაში
ზიანის (ნებისმიერი საფუძველით) ანაზღაურებაზე
უარის თქმა ზნეობისა და საჯარო წესრიგის
წინააღმდეგ მიმართული ქმედებაა, რთული იქნე-
ბა. მოვიყვანოთ ცნობილი ქართველი ცივილის-
ტის, პროფესორ ლ. ჭანტურიას კომენტარს:
„საკამარისია დაგუშვათ იგი, რომ სამოქალაქო
ბრუნვისთვის ჩვეული ფასეულობები თავ-
დაყირად დგება. ერთი შეხედვით, ვის შეიძლე-
ბა თავში აზრად მოუვიდეს თანხმობა მსგავს
პირობაზე, მაგრამ სრულიად შესაძლებელია,
იგი გამოწვეული იყოს სხვადასხვა ინტერეს-
ით. ასეთმა შეთანხმებამ შესაძლოა გამოიწვიოს
დისბალანსი მხარეთა შორის და არაეკვივალენ-
ტურ ბრუნვას შეუწყოს ხელი.“⁵⁸

ეს ის შემთხვევაა, როცა დანაწესს ჯერ არ
გამოუწვევია ყოვლისმომცველი და უარყოფი-
თი შედეგები სამეწარმეო სუბიექტებისთვის,
მაგრამ იგი ძალიან სავარაუდოა. ამ მხრივ არც
სასამართლო პრაქტიკა იძლევა კონკრეტულ
სურათს, მაგრამ თეორია ქმნის რა პრაქტიკას,
ვფიქრობთ, მომავალში ასეთი რეალობაც შეიქმ-
ნება.

დასკვნა

1. სასურველია სსკ-ში დადგინდეს ვაღდე-
ულების დარღვევის ერთიანი ცნება.

2. სამართლებრივი განსაზღვრულობისათვის
აუცილებელია დეტალურად მოწესრიგდეს შეს-
რულების შეუძლებლობის სახეები და ხელშეკ-
რულების მონაწილეთა პასუხისმგებლობის
ფარგლები განისაზღვროს შესრულების შეუ-
ძლებლობის მიმართ მხარეთა ბრალეულობის
გათვალისწინებით.

3. ვადის გადაცილების მომენტში დაფუძნე-
ული შეუძლებლობისას ყოველგვარი შემთხ-
ვევითობისათვის პასუხისმგებლობა დაეკისრე-
ბა მოვალეს (სსკ-ის 402-ე მუხლი). ასეთი შემთხ-
ვევა ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის სახ-
ეა. თუმცა, მოვალისათვის პასუხისმგებლობის
დაკისრების სამართლებრივ საფუძველს წარ-
მოადგენს მისი ბრალი ვადის გადაცილების ან
მისი გამომწვევი გარემოების მიმართ. არა-
კეთილსინდისიერი მოვალე პასუხისმგე-
ბლობისაგან განთავისუფლების უფლებე-
ბით არ უნდა სარგებლობდეს. ვინაიდან
შესრულების შეუძლებლობის გამომწვევი გარე-

⁵⁸საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი.
წიგნი მე-3. „სამართალი“. თბ., 2001. გვ. 458.

სამართლის პრობლემები



მოება შესრულების დაყოვნებამდე არ წარმოიშობოდა, ნათელი ხდება შემთხვევითობისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების სამართლებრივი დასაბუთება.

4. კრედიტორის მიერ ვადის გადაცემის ნაწილში სსკ ხარვეზით ხასიათდება. კერძოდ, სსკ-ის 392-ე მუხლის თანახმად, კრედიტორის მიერ ვადის გადაცემისას მოვალე მხოლოდ მაშინ არის პასუხისმგებელი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის, თუკი შესრულება შეუძლებელი აღმოჩნდა მოვალის განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის გამო.⁵⁹ აღნიშნული მუხლის ანალიზიდან ირკვევა, რომ მოვალის პასუხისმგებლობა მარტივი გაუფრთხილებლობით ვალდებულების დარღვევისათვის გამოირიცხება, რაც იმას ნიშნავს, რომ მოვალის მიერ ვალდებულების მარტივი გაუფრთხილებლობით დარღვევის რისკი კრედიტორს ეკისრება, როგორც ვადის გადამცილებელ მხარეს. ამასთან მნიშვნელოვანია, რომ სსკ-ის 392-ე მუხლი მოიცავს კრედიტორის მიერ ვადის როგორც ბრალეული, ისე არაბრალეული გა-

დაცილების შემთხვევებს, ვინაიდან კანონმდებელი მუხლის ფორმულირებაში არ აკონკრეტებს კრედიტორის ბრალეულობის საკითხს. ამდენად, 392-ე მუხლის შინაარსიდან იკვეთება, რომ მოვალის მიერ ვალდებულების მარტივი გაუფრთხილებლობით დარღვევისათვის კრედიტორია პასუხისმგებელი მისი ბრალეულობის მიუხედავად. მაშინ, როდესაც სსკ-ის 393-ე (ბ) მუხლის ძალით კრედიტორს პასუხისმგებლობა მისი ბრალეულობის გათვალისწინების გარეშე დაეკისრება მხოლოდ შემთხვევითობისათვის. ამრიგად, სსკ-ის 392-ე და 393-ე მუხლები თავისი შინაარსით წინააღმდეგობრივია.⁶⁰

5. ჩვენი აზრით, სსკ-ის 410-ე მუხლის ძველი რედაქცია კანონის დონეზე უკეთ იცავდა სახელშეკრულებო ურთიერთობის სუსტ მხარეს, რომელსაც სამეწარმეო გამოუცდელობის ან სხვა მიზეზის გამო არ ტოვებდა მას მარტო. მხარეს ნებისმიერ დროს შეუძლია უარი თქვას მოთხოვნაზე. ეს მისი იმანენტური უფლებაა, მაგრამ ამის პირობად დათქმა შეთანხმების სახით დაუშვებლად მიგვაჩნია.

რედაქცია ულოცავს ახალგაზრდა ავტორ ბიორგი ჯოლიას სამეცნიერო კონფერენციაში გამარჯვებას. ვუსურვებთ წარმატებას და წინსვლას, ვაქვეყნებთ კონფერენციაში გამარჯვებულ თემას უცვლელად.

 კავკასიის უნივერსიტეტი CAUCASUS UNIVERSITY	კავკასიის უნივერსიტეტი სამართლის სკოლა	 კავკასიის სამართლის სკოლა CAUCASUS SCHOOL OF LAW
სერტიფიკატი		
კავკასიის სამართლის სკოლის სტუდენტთა VIII სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „საქართველოს გზა ევროპისაკენ“		
I ადგილი		
 კავკასიის უნივერსიტეტი სამართლის სკოლის დეკანის	 ზ. მარჯაშვილი კავკასიის სამართლის სკოლის დეკანი	 გ. დიხიჭულაძე მოქმ. ლორთქიფანიძე კონისის თავმჯდომარე
2013 წლის 6 აპრილი		

⁵⁹ ჩიტაშვილი ნ., დასახელებული ნაშრომი. გვ. 173.

⁶⁰ იქვე. გვ. 173.

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997 წ., 2012 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით. თბ., 2012.
2. ზარანდია თ., სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და ვადები. თბ., 2005.
3. ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში. თბ., 2005, თავი VI.
4. ზოიძე ბ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სისტემა. ჟურ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 1998, I კვარტალი.
5. კონრად ცვაიგერტი, ჰაინ კოტცი. შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში. ტ. 2. თბ., 2001.
6. მაჩალაძე ს., ზიანის ანაზღაურება ვალდებულების დარღვევისას (საქართველოსა და გერმანიის კანონმდებლობათა ანალიზი), ქართული სამართლის მიმოხილვა. 2004.
7. ღონაღდ კანდელაკარი, რეალური შესრულება თუ ზიანის ანაზღაურება: საერთაშორისო კონსენსუსი? შაუბილეო კრებულში: სერგო ჯორბენაძე-70, თბ., 1996.
8. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი მესამე. სარედაქციო კოლეგია: ლ. ჭანტურია, ბ. ზოიძე, თ. ნინიძე, რ. შენგელია, ჯ. ხეცურიანი. „სამართალი“, თბ., 2001.
9. ქოჩაშვილი ქ., ბრალი, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა (შედარებით სამართლებრივი კვლევა). სამართლის ჟურნალი. თბ., 2009, №1.
10. ჩიტაშვილი ნ., ბრალის მნიშვნელობა სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის. სამართლის ჟურნალი. თბ., 2009, №1.
11. ჩიტაშვილი თ., უსაფუძვლოდ გადაცემული ქონების დაბრუნების მოვალეობა. დისერტაციის ავტორეფერატი. თსუ, 2006.
12. ძლიერიშვილი ზ., ვალდებულების შესრულება. თბ., 2006.
13. ჭანტურია ლ. კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში. თბ., 2006.
14. ჯორბენაძე ს., ჩემი ცხოვრების გზა, კრებული „ს. ჯორბენაძე-75“, თბ., 2003.
15. ჯორბენაძე ს., საქართველოს რესპუბლიკის მომავალი სამოქალაქო კოდექსის ძირითადი პრობლემები. კრებული „სამართლის რეფორმა საქართველოში“. თბ., 1994.
16. Guiding Principles of European Contract Law, http://www.legiscompare.fr/site-web/IMG/pdf/19_Guiding_Principles.pdf (ukanasknelad გადამოწმებული 07.03.2013)
17. M. W. Hesselink, G.J. P. de Vries. Principles of European Contract Law, http://www.verenigingvoorburgerlijkrecht.nl/pdf_files/preadviezen/2001%20Preadvies%202001%20Hesselink%20en%20De%20Vries.PDF (უკანასკნელად გადამოწმებული 07.03.2013)
18. UNIDROIT PRINCIPLES, on International Commercial Contracts, 2010, <http://www.unidroit.org/english/principles/contracts/principles2010/integralversionprinciples2010-e.pdf> (უკანასკნელად გადამოწმებული 07.03.2013)
19. Ole Lando and Hugh Beale, Principles of European Contract Law, part I and II, Kluwer Law International, The Hague/London/Boston, 2000.
20. Sir Basil Markesinis, Hannes Unberath, Angus Johnston, The German Law of Contract, Second Edition, Oxford and Portland, Oregon, 2006.
21. Palandt/Heinrich, 2003, BGB §286, Rn.5.
22. German Civil Code (BGB) http://www.gesetze-im-internet.de/englisch_bgb/print_englisch_bgb.html (უკანასკნელად გადამოწმებული 07.03.2013)
23. French Civil Code http://www.napoleon-series.org/research/government/c_code.html (უკანასკნელად გადამოწმებული 07.03.2013)
24. Zweigert K., Kötz H. Introduction to Comparative Law, Volume II-The Institutions of Private Law. Oxford, 1987, 187.
25. Reinhard Zimmermann, Roman Law and European Culture, New Zealand Law Review, 2007, 4.
26. The moral foundations of private law. James Cordley. http://202.29.22.173/pdf/law/pdf/Private_Law/pri14.pdf (უკანასკნელად გადამოწმებული 07.03.2013)
27. The foundations of private law in a multi-level structure: balancing distribution of lawmaking power and other constitutional issues.

28. Sale of Goods Act, 1979 – This act is Reproduced with amendments as at 1 october 2003. Grown Copyringht Material is reproduced with Permission of the Contoller of HMSO and the Qucens Printer for Scotlan.
29. French Civil Code, Translated by Rouhette G. with the assistance of Rouhette-Berton A., 2006. 1643-ე მუხლი.
30. Гражданское и торговое право капиталистических государств. Учебник. 2-е изд., перераб. и доп. / Отв. ред. Васильев Е.А. М., Юридическая литература. 1992.
31. Дождев Д. В. Римское частное право. М., 2002.
32. Дюги Л. Общие преобразования гражданского права со времен Кодекса Наполеона / Пер. с фр. Сиверс; М., Статут. 2001.

SCOPES OF RESPONSIBILITY FOR VIOLATING CONTRACTUAL OBLIGATIONS IN CIVIL LAW

GIORGI JOLIA

III Year Student of Caucasus University

On the basis of the conducted research it is safe to conclude that:

1. It is advisable to establish a common unified coherent notion in the GCC for violation of obligations. (commitments)
2. For more judicial clarity, it is vital to determine the types of situations in which parties are unable to fulfill engagements and to define parties' responsibilities while at the same time considering fault of the parties in failing to fulfill commitments.
3. In all cases when obligations are overdue, all the responsibility should be put on the debtor (GCC article 402). This case represents a type of responsibility without guilt. However, debtors' fault in tardiness, responsibilities overdue, and/or causing circumstances that contribute to the failure to meet obligations represent legal grounds for holding debtors responsible. Debtor that is untrustworthy or insincere should not enjoy the rights to be acquitted or freed from guilt. Inasmuch as the circumstances preventing the debtor to meet obligations would not emerge before the case of tardiness, legal foundations to hold debtors responsible for such cases become clear.
4. In case of responsibilities overdue by creditors, GCC is characterized with marked ambiguity. According to the article 392 of the GCC, in cases when creditor doesn't meet obligations in time, debtor cannot be held responsible for his own failure to meet obligations unless he failed to meet obligations on purpose or could not meet them because of severe imprudence. From closer analysis of the article it can be understood that in case of milder, simple cases of imprudence, debtor is not held responsible; this, in turn, means that in cases of mild imprudence from the side of the debtor, creditor, as the party with responsibilities overdue, is burdened with inherent risks. In addition, it has to be noted that since article 392 of the GCC does not separately discuss cases for tardiness by the creditor in which creditor's fault is either present or absent, it can be assumed that in both cases, legislators intended to cover both cases with a single formulation, which applies to both. Therefore, from the content of the article 392, it follows that whether creditor is at fault or not, in case of tardiness from his side, and in case debtor reveals mild improvidence, the creditor is held responsible and takes risks.
5. We find it evident that older version of article 410 of the GCC better protected the rights of the weaker party that may have been disadvantaged by having less business experience; legislation did not neglect their rights. Party can always give up the right to demand protecting its rights. This is an inherent right; however, we regard establishing such condition on the basis of an agreement unacceptable.